მთის განვითარების ეროვნული საბჭოს
სხდომის ოქმი №19

ქ. თბილისი, 2021 წლის 11 მარტი

მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა 15:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წევრები:

1. ირაკლი ღარიბაშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე.
2. ირაკლი ქარსელაძე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. ნათელა თურნავა - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
4. ვახტანგ გომელაური - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, საბჭოს წევრი.
5. ივანე მაჭავარიანი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს წევრი.
6. ლევან დავითაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, საბჭოს წევრი.
7. სოზარ სუბარი - საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის №5 მაჟორიტარულ ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
8. გივი ჭიჭინაძე - საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამტრედია-წყალტუბო-ვანი-ხონის №22 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
9. ირაკლი ქადაგიშვილი - საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე, თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხი №10 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
10. გოგი მეშველიანი - საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ბოლნისი-დმანისი-თეთრიწყარო-წალკის №14 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
11. დავით სონღულაშვილი - საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, გურჯაანი-საგარეჯო-სიღნაღი-დედოფლისწყაროს №9 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
12. შალვა კერესელიძე - მცხეთა-დუშეთი-თიანეთი-ყაზბეგის №11 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
13. გოჩა ენუქიძე - ამბროლაური-ონი-ცაგერი-მესტია-ლენტეხის №19 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
14. ანზორ ბოლქვაძე - ქედა, შუახევი, ხულოს №30 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
15. სამველ მანუკიანი - ახალქალაქი-ნინოწმინდის №18 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
16. ვიქტორ ჯაფარიძე - საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
17. ვასილ ჩიგოგიძე - ოზურგეთი-ლანჩხუთი-ჩოხატაურის №24 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი;
18. თორნიკე რიჟვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი.

19. მზია გიორგობიანი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი.
20. ილია ბეგიაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი.
21. ლერი ბარნაბიშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში – საბჭოს წევრი.
22. გიორგი სახოკია - ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული, საბჭოს წევრი.
23. პარმენ მარგველიძე - ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული, საბჭოს წევრი.
24. ბესიკ ამირანაშვილი - ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული, საბჭოს წევრი.
25. დავით ნოზაძე - დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული, საბჭოს წევრი.
26. მალხაზ თორია - აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული, საბჭოს წევრი.
27. შოთა რეხვიაშვილი - ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული, საბჭოს წევრი.
28. მამუკა საღარეიშვილი - გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული, საბჭოს წევრი.
29. ზვიად შალამბერიძე - ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული, საბჭოს წევრი.
30. ირაკლი შიოშვილი - ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული, საბჭოს წევრი.
31. ანივარდ მოსოიანი - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი.
32. ავთანდილ უგრეხელიძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი.
33. ზურაბ სეხნიაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი.
34. კაპიტონ ჟორჟოლიანი - მესტიის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი.
35. ალექსანდრე ზაგაშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი.
36. თამარ ჩიბურდანიძე-ლომთაძე – ექსპერტი, საბჭოს წევრი.

მოწვეული პირები:
1. ეკატერინე დგებუაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე;
2. აკაკი საღირაშვილი - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
3. ნინო ენუქიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
4. თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
5. ილია დარჩიაშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი;
6. გიორგი დიდიძე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსი.

მთის განვითარების ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი.

მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომის მდივანი:
გიორგი ბასოშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

<u>დღის წესრიგი:</u>

1. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური შეღავათების გამოყენების შესახებ 2019 წლის ანგარიში;
(მომხსენებელი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო)

2. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური შეღავათების გამოყენების შესახებ 2020 წლის ანგარიში;
(მომხსენებელი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო)

3. 2020 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტებისა და პროგრამების შესრულების ანგარიში;
(მომხსენებელი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო)

4. 2021 წლის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განაწილება - „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის განხილვა;
(მომხსენებლები: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო)

5. „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა.
(მომხსენებელი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო)

მთის განვითარების ეროვნული საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

1. მოისმინეს: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა ირაკლი ქარსელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო 2019 წლის განმავლობაში „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური შეღავათების გამოყენების ანგარიში. ანგარიში დანართის სახით თან ერთვის (დანართი №1).

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: მიღებულ იქნას ცნობად 2019 წლის განმავლობაში „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური შეღავათების გამოყენების ანგარიში.

2. მოისმინეს: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა ირაკლი ქარსელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო 2020 წლის განმავლობაში „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური შეღავათების გამოყენების ანგარიში. ანგარიში დანართის სახით თან ერთვის (დანართი №2).

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: მიღებულ იქნას ცნობად 2020 წლის განმავლობაში „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური შეღავათების გამოყენების ანგარიში.

3. მოისმინეს: ბატონმა ირაკლი ქარსელაძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა 2020 წლის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის - 20 000 000 ლარის ხარჯვის ანგარიში. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ საბჭოს წევრებს მოახსენა რომ, 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის გამოეყო 8 495 000 ლარი, საიდანაც დაფინანსდა 21 პროექტი, დაახლოებით 8.5 მილიონი ლარით. მომხსენებელმა აღნიშნა რომ, პროექტები 20 მუნიციპალიტეტში განხორციელდა, კერძოდ: ჩოხატაური, საჩხერე, ახმეტა, გურჯაანი, თელავი, სიღნაღი, ცაგერი, ამბროლაური, მესტია, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ნინოწმინდა, დმანისი, წალკა, გორი, ხაშური და ქარელი.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ბატონმა ლევან დავითაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა რომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოეყო 10 000 000 ლარი, საიდანაც „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის 750,000.00 ლარი. ათვისებული არის 747,606.76 ლარი, აუთვისებელი დარჩა 2,393.24 ლარი. პროგრამის ფარგლებში 22 ბენეფიციარს (ბაღების დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში) დაუფინანსდა მრავალწლიანი კულტურის ბაღებში ნერგების ღირებულება და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა. 14 ბენეფიციარს (კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში) ნერგებისა და სარწყავის სისტემის მოწყობასთან ერთად დაუფინანსდა ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების, აუდიტორული მომსახურებისა და მიწის ლაბორატორიული ანალიზის ღირებულებები. დაფინანსებულია ჟოლოს, ლურჯი მოცვისა და მაყვლის კულტურის ბაღები. პროექტი განხორციელდა სიღნაღის, ხაშურის, კასპის და დმანისის მუნიციპალიტეტებში.
„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების პროექტის განსახორციელებლად ქვეპროგრამის „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება“ გამოყოფილი იყო 200,000 ლარი. ათვისებული თანხა 200,000 ლარი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა კომპანია შპს „ლაზმაური“ (ს/კ 422990446) რომელიც მდებარეობს რაჭაში (ამბროლაური). კომპანიამ დაფინანსება მიიღო 200 ტონა წარმადობის ღვინის საწარმოს ძირითად საშუალებების შესასყიდად. დაფინანსდა იტალიური წარმოების მანქანა-დანადგარების შესყიდვა.
„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29

მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამისათვის გამოიყო 38,000 ლარი. ათვისებული არის 3,200.00 ლარი. აუთვისებელი თანხა 34,800.00 ლარი.
„მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის №34 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამისათვის გამოყოფილი იყო 250,000 ლარი. ათვისებულია 250,000 ლარი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა რკ „ალვაზი“ (რაჭა-ლეჩხუმი, ქვ. სვანეთის რეგიონი) რომელიც მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ყურძნის გადამამუშავებელი აღჭურვილობების შესაძენად.
„რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამისათვის გამოიყო 235,000 ლარი. ათვისებული არის 266,966.78 ლარი (113,60 %). პროგრამის ფარგლებში რძის გადამამუშავებელი აღჭურვილობების შესაძენად დაფინანსდა შემდეგი კოოპერატივები: რკ „პალდოველი-2014“ (კახეთის რეგიონი), საგარეჯოს მუნიციპალიტეტი. დაფინანსების მოცულობამ შეადგინა - 31,599.60 ლარი;
რკ „ფუძე“ (ქვემო ქართლის რეგიონი), წალკის მუნიციპალიტეტი. დაფინანსების მოცულობამ შეადგინა - 142,500.00 ლარი;
რკ „ულეველა“ (გურიის რეგიონი), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი. დაფინანსების მოცულობამ შეადგინა - 58,149.00 ლარი;
ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში გამოყოფილი იქნა 8,527,000 ლარი. ათვისებული არის 8,492,000 ლარი. აუთვისებელი არის 35,000 ლარი.
8,492,000 ლარი მიიმართა შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ (ს/ნ405406109) სუბსიდირებისთვის, შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ მიერ აღებული სესხის ნაწილობრივ დაფარვის მიზნით. შპს „მოსავლის მართვის კომპანიას“ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში 2020 წლის რთვლის ფარგლებში, მოსახლეობიდან ყურძნის მოსავლის შესყიდვის მიზნით, აღებული ჰქონდა სესხი 12,597,720.40 ლარის ოდენობით. სესხით მიღებული თანხა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში შემდეგი რაოდენობის ყურძნის შესყიდვას:
1. ,,ალექსანდროული მუჯურეთული“ 1 152 214 კგ - 8,065,500.00 ლარი;
2. „ცოლიკაური“ 680 433 კგ - 2,041,300.00 ლარი;
3. „უსახელაური“ 65 304 კგ - 653,040.00 ლარი;
4. „ოჯალეში“ 195 878 კგ - 685,573.00 ლარი;
5. „ტვიში“ 46 237კგ - 231 185 ლარი;
სულ ყურძენი 2 140 065 კგ - 11,676,598.00 ლარი.

დანართის (დანართი №3) სახით წარდგენილ ანგარიშში ასევე ასახული არის ინფორმაცია დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში სკოლა-პანსიონატის მშენებლობისათვის 2020 წელს მაღალმთიანი დასახლებების ფონდიდან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის გამოყოფილი 1,505,000 ლარის ოდენობით თანხის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული 2020 წლის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტებისა და პროგრამების შესრულების ანგარიში;

4. მოისმინეს: ბატონმა ირაკლი ქარსელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო 2021 წელს „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, შესაბამისად, 2021 წელს განსაზღვრული თანხების განაწილება მოიაზრება შემდეგნაირად:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი გამოეყოფა „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად (დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა - დანართი №6). მომხსენებელმა აღნიშნა რომ, აღნიშნული თანხის ფარგლებში იგეგმება 25 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, ასპინძის, ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, დუშეთის, ყაზბეგის, ქარელის, კასპის, წალკის, ამბროლაურის, ონის, ლენტეხის, ცაგერის, გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღის, ტყიბულის, საჩხერის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულისა და ხონის მუნიციპალიტეტებში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ბატონმა ლევან დავითაშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოსათვის გამოსაყოფი 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის მიმართულებები, კერძოდ:

826 500 (რვაას ოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარი მიმართული იქნება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

2 038 500 (ორი მილიონ ოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ლარი მიმართული იქნება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის განსახორციელებლად;

120 000 (ას ოცი ათასი) ლარი მიმართული იქნება „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

515 000 (ხუთას თხუთმეტი ათასი) ლარი მიმართული იქნება „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას წარმოდგენილი მთავრობის განკარგულების პროექტი (დანართი №4), კერძოდ:

ა) გამოეყოს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს არა უმეტეს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი, საიდანაც:

ა.ა) 826 500 (რვაას ოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარი მიმართული იქნება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ა.ბ) 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;
ა.გ) 2 038 500 (ორი მილიონ ოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ლარი მიმართული იქნება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის განსახორციელებლად;
ა.დ) 120 000 (ას ოცი ათასი) ლარი მიმართული იქნება „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;
ა.ე) 515 000 (ხუთას თხუთმეტი ათასი) ლარი მიმართული იქნება „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;
ბ) არა უმეტეს 10 000 000 (ათი მილიონი) ლარისა მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აღნიშნული განკარგულების პროექტის საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

5. მოისმინეს: ბატონმა ირაკლი ქარსელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების“ სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა (დანართი №7).

აზრი გამოთქვა: ზვიად შალამბერიძემ.

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნეს „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალოს „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების“ სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

სხვა: პარლამენტის წევრმა ბატონმა შალვა კერესელიძემ ისაუბრა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოძისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ფრეზეთისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. მან დადებითად შეაფასა დუშეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მცირე ჰესები და მზის პანელების სახელმწიფო პროგრამა და ისაუბრა მის გაგრძელების საჭიროებასთან დაკავშირებით. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა ტრანზიტული ტრაილერების პრობლემასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის საზღვართან.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ქარსელაძემ, ირაკლი ღარიბაშვილმა, ივანე მაჭავარიანმა, ვახტანგ გომელაურმა, სოზარ სუბარმა.

გადაწყვიტეს: საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაავალა, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოძისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ფრეზეთისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების შესაძლებლობის დამატებითი შესწავლა და აღნიშნულთან მიმართებაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწევი სავარაუდო ხარჯების შესახებ ინფორმაციის მომზადება.

სხვა: პარლამენტის წევრმა ბატონმა ირაკლი ქადაგიშვილმა საბჭოს წევრებს ესაუბრა თუშეთის მიმართულებით საბაგიროს გზის მშენებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნული პროექტის განხორციელების მნიშვნელობაზე.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ღარიბაშვილმა, ივანე მაჭავარიანმა, ნათელა თურნავამ, სოზარ სუბარმა.

გადაწყვიტეს: აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისათვის გაიმართება შეხვედრა.

სხვა: პარლამენტის წევრმა ბატონმა ანზორ ბოლქვაძემ ისაუბრა სავადმყოფოების ტექნიკური პერსონალისთვის „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით სახელფასო დანამატის დადგენაზე.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ქარსელაძემ, ივანე მაჭავარიანმა,

გადაწყვიტეს: საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაავალა დამატებითი შესწავლა საავადმყოფოების ტექნიკური პერსონალისათვის „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით სახელფასო დანამატის დადგენის შესაძლებლობისა, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწევი სავარაუდო ხარჯების შესახებ ინფორმაციის მომზადება.

სხვა: პარლამენტის წევრმა ბატონმა ვიქტორ ჯაფარიძემ ისაუბრა მუზეუმის თანამშრომლებისათვის, ასევე მესტიაში არსებულ კერძო სამართლის იურიდიული პირის სკოლის მასწავლებლებისათვის „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების" შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელფასო დანამატის გავრცელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ და დამატებით, ცაგერში არსებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირის სკოლასა და სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლებზე და პერსონალზე „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების" შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელფასო დანამატის გავრცელებასთან დაკავშირებით ისაუბრა პარლამენტის წევრმა ბატონმა გოჩა ენუქიძემ.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ღარიბაშვილმა, ირაკლი ქარსელაძემ.

გადაწყვიტეს: საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაავალა, დამატებითი შესწავლა მუზეუმების თანამშრომელთათვის „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით სახელფასო დანამატის დადგენის შესაძლებლობისა, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწევი სავარაუდო ხარჯების ოდენობა.

სხდომის თავმჯდომარე: _____ ირაკლი ღარიბაშვილი